

**განმარტებითი ბარათი**  
**საქართველოს კანონის პროექტზე**  
**„სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონში**  
**ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს კონტროლის პალატაში, როგორც სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის განმახორციელებელ უმაღლესი ორგანოში, ასევე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, რომელსაც გააჩნია რიგი უფლებამოსილებანი გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის სფეროში, სახელმწიფო სპეციალური წოდებების არსებობა და შესაბამისად, მათი შემოღების აუცილებლობა.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

კანონპროექტის მიზანია, კონტროლის პალატის სისტემაში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში შემოღებული იქნეს სახელმწიფო სპეციალური წოდებები, ასევე დადგინდეს სამსახურის ვადები აღნიშნულ დაწესებულებებში მორიგ სპეციალურ წოდებათა მისანიჭებლად.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი**

კანონპროექტის თანახმად, სპეციალური წოდებები დაწესდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და საქართველოს კონტროლის პალატის მოსამსახურეებისათვის. შესაბამისი ცვლილება შედის სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში, რომელიც ადგენს იმ სახელმწიფო დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელთა მოსამსახურეებისთვისაც წესდება სპეციალური წოდებები.

კანონპროექტით, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში წესდება შემდეგი სპეციალური წოდებები: საშუალო სპეციალური წოდება – უმცროსი ინსპექტორი, III კლასის ინსპექტორი, II კლასის ინსპექტორი, I კლასის

ინსპექტორი; უფროსი სპეციალური წოდება – ინსპექტორი, წამყვანი ინსპექტორი, მთავარი ინსპექტორი;

გ) უმაღლესი სპეციალური წოდება – გარემოს დაცვის სახელმწიფო ინსპექტორი, გარემოს დაცვის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი;

საქართველოს კონტროლის პალატის სისტემაში წესდება შემდეგი სპეციალური წოდებები: საშუალო სპეციალური წოდება – უმცროსი ინსპექტორი, III კლასის ინსპექტორი, II კლასის ინსპექტორი, I კლასის ინსპექტორი; უფროსი სპეციალური წოდება – კონტროლიორი, წამყვანი კონტროლიორი, მთავარი კონტროლიორი; უმაღლესი სპეციალური წოდება – სახელმწიფო კონტროლიორი, მთავარი სახელმწიფო კონტროლიორი.

კანონპროექტი ადგენს სამსახურის ვადებს საქართველოს კონტროლის პალატისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში მორიგი სპეციალური წოდებების მისანიჭებლად; კერძოდ, ინსპექტორებისა და კონტროლიორისათვის – 4 წელი; წამყვანი ინსპექტორისა და წამყვანი კონტროლიორისათვის, ასევე მთავარი ინსპექტორისა და მთავარი კონტროლიორისათვის – 5 წელი.

## **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან დაფინანსების სხვა წყაროებიდან.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;**

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ შედეგებს.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მოთხოვნებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი:**

საქართველოს კონტროლის პალატა

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:**

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი